

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“
საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნების თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის (200 000 ამომრჩევლის) მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2003 წლის 28 მარტი.
N 2014 – III